

## სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია 2020-2027წწ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტის) სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების, ადმინისტრაციის, დამსაქმებლების და დაინტერესებული საზოგადოების სხვა წარმომადგენლების მონაწილეობით შემუშავებულ დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია უნივერსიტეტის ხედვა, მისია და ღირებულებათა სისტემა, ისტორია, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული განვითარების ძირითადი ორიენტირები და მათი მიღწევის გზები, კერძოდ, სტრატეგიული განვითარების (შვიდწლიანი) და სამოქმედო (სამწლიანი და ერთწლიანი) გეგმები, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

### ჩვენი ხედვაა:

უნივერსიტეტი ორიენტირებულია უწყვეტ განვითარებაზე, მათ შორის ევროპულ განათლებასთან ჰარმონიზაციაზე. უნივერსიტეტის საქმიანობა ხელს შეუწყობს ქვეყანაში სტრატეგიული ეკონომიკური განვითარების პირობებში წარმატებული სპეციალისტების მომზადებასა და მათ ინტეგრირებას კონკურენტულ შრომით ბაზარზე.

### ჩვენი მისიაა:

უნივერსიტეტის მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესითა და წარმატებული საქმიანობით ხელს შეუწყობენ თანამედროვე საზოგადოების მაღალგანვითარებულ, სამართლებრივ, დემოკრატიულ, ზნეობრივ და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოებად გარდაქმნას.

მისიის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:

- უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ, მაღალი ხარისხის აკადემიურ (საბაკალავრო, სამაგისტრო) და პროფესიულ განათლებას, რომელიც შეესაბამება ქვეყნისა და რეგიონის ინტერესებს;

- უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების, სამეცნიერო კვლევის, შემოქმედებითი და ადმინისტრაციული საქმიანობის ხელშეწყობი, უსაფრთხო და საიმედო გარემოს შექმნასა და განვითარებას;
- ხელს უწყობს სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მასწავლებლებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების პიროვნული პოტენციალის რეალიზებასა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას;
- ნერგავს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის (უწყვეტი განათლების) სისტემას საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებითა და განხორციელებით;
- მხარს უჭერს და განამტკიცებს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, თანამშრომლების, ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციული მმართველობის სტრუქტურების ინიციატივას უნივერსიტეტის ერთობლივი მართვის კუთხით;
- ავითარებს პარტნიორულ ურთიერთობებს ქვეყნისა და უცხოეთის მოწინავე საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ხელს უწყობს სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას.

#### ჩვენი ღირებულებებია:

- დემოკრატიულობა;
- განვითარებაზე ორიენტირებულობა;
- კეთილსინდისიერება;
- აკადემიური თავისუფლება;
- გამჭვირვალობა და ღიაობა.

#### ისტორია

გორისა და ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტებს, რომელთა სამართალმემკვიდრეც ამჟამად გორის უნივერსიტეტია, მდიდარი და ღრმა ისტორიული წარსული აქვთ. გორში ჯერ კიდევ 1876 წლის 12 სექტემბერს გაიხსნა ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია, რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე მრავალი ღვაწლმოსილი პედაგოგი აღუზარდა სამშობლოს.

1935 წლის აგვისტოში გორში გაიხსნა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომელიც 1939 წელს გადაკეთდა გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტად ოთხწლიანი სწავლებით. ინსტიტუტმა მიიღო დიდი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის სახელი.

1985 წელს მოხდა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ინსტიტუტს ეწოდა გორის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტი, 1997 წლიდან კი - გორის სახელმწიფო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი.

1999 წლის 16 ივლისს აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელს მიენიჭა უნივერსიტეტის სტატუსი.

ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი 1932 წელს დაარსდა, სადაც მხოლოდ ერთი – აგრობიოლოგიის ფაკულტეტი ფუნქციონირებდა. მომდევნო წლებში მას ახალი ფაკულტეტები დაემატა.

ქართულ-ოსური კონფლიქტის შემდეგ, 1991 წლიდან ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა ქ. გორში განაგრძო ფუნქციონირება.

2000 წლის 16 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი მიენიჭა.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 დეკემბრის N458 დადგენილებით საჯარო სამართლის იურიდიული პირი გორის სასწავლო უნივერსიტეტი რეორგანიზებულ იქნა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად - გორის სასწავლო უნივერსიტეტად.

სსიპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დაგენილება N09-90; 19.06.2012 მიხედვით, უნივერსიტეტის სახელწოდება შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“.

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ცენტრს შიდა ქართლში.

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს 16 საბაკალავრო, 8 სამაგისტრო, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებულ პროგრამას (300 კრედიტიანი), ქართულ ენაში მომზადების და მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამებს, აგრეთვე 12 პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამას. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2000-მდე სტუდენტს ასწავლის 89 აკადემიური და 100-მდე მოწვეული პერსონალი, ხოლო პროფესიულ პროგრამებზე 330 პროფესიულ სტუდენტს ასწავლის 75-მდე პროფესიული განათლების მასწავლებელი.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფილია კვალიფიციური კადრებით, ხუთ სასწავლო კორპუსში განთავსებული ყველასთვის ხელმისაწვდომი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მდიდარი თანამედროვე ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ტექნიკითა და სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიებით, კაბინეტ-ლაბორატორიებით, კლინიკით, მცირე და დიდი სააქტო დარბაზებით, სპორტული დარბაზებით და მოედნებით, რეკრეაციული სივრცეებით, რძის გადამამუშავებელი ქარხნით და სხვ.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამი ფაკულტეტი:

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
- განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი;
- ბიზნესის, სოციალური მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

ფაკულტეტები უზრუნველყოფენ სტუდენტთათვის მეცნიერებაზე დაფუძნებული ცოდნის მიწოდებას თეორიისა და პრაქტიკის ჰარმონიული შერწყმით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი.

## სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ეფექტიანად წარმართვისათვის, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა მეთოდოლოგია, რომლის მთავარ ორიენტირს PDCA ციკლზე დაფუძნებული პროცესების გამოყენებით და პერსონალის მაქსიმალური ჩართულობით უნივერსიტეტის უწყვეტი განვითარება წარმოადგენს.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ოთხ ძირითად ეტაპს:




## ინფორმაციის შეგროვება, კვლევა, ანალიზი

სტრატეგიული დაგეგმვის პირველ ეტაპი მოიცავს დაწესებულების პერსონალის, ბენეფიციარებისა და სხვა დაინტერესებული პირებისაგან ინფორმაციის შეგროვებას უნივერსიტეტის შიდა პროცესების, დამოკიდებულებებისა და ხედვების შესახებ.

ამ ეტაპზე ხდება ასევე უნივერსიტეტის შიდა დოკუმენტაციისა და გარე მარეგულირებელი დოკუმენტაციის დამუშავება. ინფორმაციის შეგროვებისათვის, საჭიროებისამებრ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (ანკეტირება, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და სხვა).

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება სიტუციის ანალიზი SWOT (სიძლიერე, სისუსტეები, შესაძლებლობები, საფრთხეები) და PESTEL (პოლიტიკური,

ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, საკანონმდებლო ფაქტორები) მეთოდოლოგიების გამოყენებით, რომელიც მოიცავს, როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებს.



შიდა ფაქტორების ანალიზი მოიცავს სხვადასხვა სეგმენტებს, როგორცაა, სასწავლო პროცესი, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, ხარისხის უზრუნველყოფა, პერსონალი და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, სტუდენტური სერვისები, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები, შრომის პირობები, მართვის სისტემა და ა.შ. ანალიზის შედეგად გამოვლინდა უნივერსიტეტის საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეები.

გარე ფაქტორების ანალიზი მოიცავს შემდეგ სეგმენტებს: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისადმი განახლებული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, სტანდარტები, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის ძირითადი ასპექტები (მათ შორის, დემოგრაფიული მდგომარეობა, შრომის ბაზრის მოთხოვნები, არსებული კონკურენტული გარემო, მოთხოვნები უნივერსიტეტებში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე და სხვ). გარე ფაქტორების ანალიზი იძლევა საფრთხეების პრევენციისა და რისკების მართვის შესაძლებლობებს. ამასთან, შესაძლებლობები და საფრთხეები უნდა განისაზღვროს იმის გათვალისწინებით, რომ ისინი არიან ფაქტორები, როგორც უნივერსიტეტისთვის, ისე კონკურენტებისთვის.

ანალიზის შედეგად ყალიბდება წარმოდგენა უნივერსიტეტში რეალური მდგომარეობის შესახებ.

პირველი ეტაპის ბოლოს ხდება სიტუაციის ანალიზის განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან და უკუკავშირის მიღება.

### სტრატეგიული გეგმის შემუშავება/რევიზია

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს, რომელიც აღწერს უნივერსიტეტის სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.

უნივერსიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, დასაქმების ბაზარზე არსებული ტენდენციების გაანალიზებითა და უმაღლესი განათლების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით, დაწესებულების სტრატეგიული განვითარების საბჭო შეიმუშავებს სტრატეგიული განვითარების გეგმის სამუშაო ვერსიას, რის შემდეგაც უზრუნველყოფს მის საჯარო განხილვასა და უკუკავშირის შეგროვებას. სტრატეგიული განვითარების გეგმა უნდა მოიცავდეს უნივერსიტეტის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ყველა ასპექტს, მათ შორის, ინსტიტუციურ განვითარებას, ხარისხის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვას, კვლევებს/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, სტუდენტურ სერვისებს, ინფრასტრუქტურასა და სხვა; უკუკავშირის საფუძველზე ხდება სტრატეგიული განვითარების გეგმის საბოლოო ვერსიის შეიმუშავება და იწყება სათანადო ამოცანების ფორმირება. ამოცანების ფორმირების შემდეგ ხორციელდება საჯარო განხილვების ახალი ციკლი, რომლის შემდეგაც ხდება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების საბოლოო რედაქციის ჩამოყალიბება. განისაზღვრება ამოცანების შესრულების ინდიკატორები და პასუხისმგებელი პირები. სტრატეგიული განვითარების გეგმის საბოლოო ვერსია განიხილება და მტკიცდება აკადემიურ საბჭოს მიერ.

### სამოქმედო გეგმების შეიმუშავება

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების საბჭო ახორციელებს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას და სამწლიანი (აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამებისათვის) და ერთწლიანი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის) სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიის ფორმირებას. სამოქმედო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც აღწერს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიმართულებების შესაბამისად, აკადემიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირებისათვის საშუალოვადიან/მოკლევადიან პერიოდში დაგეგმილ ამოცანებს. აუცილებელია, რომ სამოქმედო გეგმაში ასახული ამოცანები აკმაყოფილებდეს ეგრეთწოდებულ SMART კრიტერიუმებს:

- S (Specific) = სპეციფიკური (კონკრეტული, დეტალური, კარგად განსაზღვრული);
- M (Measurable) = გაზომვადი (რიცხვები, რაოდენობა);
- A (Achievable) = მიღწევადი;
- R (Realistic) = რეალისტური (ითვალისწინებს არსებული რესურსების შესაძლებლობებს);
- T (Time-bound) = დროში გაწერილი (მითითებულია შესრულების ვადები).

სამოქმედო გეგმაში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და მის შესასრულებლად საჭირო რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური).

სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიის შემუშავების შემდეგ, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების საბჭო უზრუნველყოფს მათი საჯარო განხილვების ორგანიზებასა და უკუკავშირის გათვალისწინებას, რის შემდეგაც ხდება სამოქმედო გეგმების საბოლოო, შეჯერებული ვერსიების განხილვა და დამტკიცება აკადემიური საბჭოს მიერ.

### სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ამოცანებისა და საქმიანობების შესრულების დონის, ხარისხის და ეფექტიანობის კონტროლი ხორციელდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესებით. მონიტორინგის პროცესი ხორციელდება ყოველწლიურად და მას წარმართავს რექტორის ბრძანებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი. საჭიროების შემთხვევაში, მაგალითად, ისეთი ახალი გარემოებების დადგომის პირობებში, რომლის საპასუხოდ აუცილებელია სტრატეგიულ ან სამოქმედო გეგმაში ცვლილებების დაუყოვნებლად შეტანა, არაგეგმიური მონიტორინგის ინიცირებას ახორციელებს უნივერსიტეტის რექტორი.

მონიტორინგის ჯგუფი პასუხისმგებელია მონიტორინგის ანგარიშის შემუშავებაზე, რომელიც წარმოადგენს მოკლევადიან პერიოდში დაგეგმილი საქმიანობების ყოველწლიური შეფასების უზრუნველყოფის დოკუმენტს და ეფუძნება საანგარიშო წელს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების შედეგებს. მონიტორინგის ანგარიშში ასახული ამოცანების შესრულების შეფასება უნდა ეყრდნობოდეს ამ ამოცანებისათვის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს. მონიტორინგის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, მონიტორინგის ჯგუფს წარუდგენენ ანგარიშს, სადაც ასახული იქნება წინა წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობის შედეგები, რომლის განხორციელებაზეც პასუხისმგებელი (ან განხორციელებაში ჩართული) იყო სტრუქტურული ერთეული. მონიტორინგის ჯგუფი უფლებამოსილია გამოითხოვს სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულებისაგან.

სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებზე დაყრდნობით მონიტორინგის ჯგუფი ადგენს წინა წლის სამოქმედო გეგმების შესრულების ფაქტს, გეგმებით გათვალისწინებული თითოეული ამოცანისათვის განსაზღვრული ინდიკატორით ახდენს დადგენილი შედეგის მიღწევის შეფასებას. მონიტორინგის ანგარიშში ასახულ ყველა ამოცანას/აქტივობას ენიჭება დამდგარი ფაქტის შესაბამისი სტატუსი. სტატუსი შეიძლება იყოს:

1. შესრულებულია სრულად - აქტივობით დაგეგმილი ყველა სამუშაო შესრულებულია და დამდგარი შედეგი სრულებით შეესაბამება მის შესრულების მაჩვენებლებს ან/და ინდიკატორებს;

2. შესრულებულია მეტწილად - აქტივობით დაგეგმილი უმეტესი სამუშაოების შესრულებულია და დამდგარი შედეგი არასრულად შეესაბამება მის შესრულების მაჩვენებლებს ანდა ინდიკატორებს, თუმცა დამდგარი შედეგი სრულად შეესაბამება დასახული მიზნებს;

3. შესრულებულია ნაწილობრივ - აქტივობით დაგეგმილი უმეტესი სამუშაოების შესრულებულია და დამდგარი შედეგი არასრულად შეესაბამება მის შესრულების მაჩვენებლებს ანდა ინდიკატორებს, თუმცა დამდგარი შედეგი არასრულად შეესაბამება დასახული მიზნებს;

4. მიმდინარეობს განხორციელება - აქტივობით დაგეგმილი სამუშაოები განხორციელების პროცესშია და საბოლოო შედეგი არ დამდგარა;

5. განხორციელება არ დაწყებულა - აქტივობით დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება არ დაწყებულა;

6. შეწყვეტილია - აქტივობით დაგეგმილი სამუშაოები შეწყდა სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული მონიტორინგის ანგარიში წარედგინება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების საბჭოს, რომელიც აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე ახორციელებს სამოქმედო გეგმების (აკადემიურ და პროფესიულ ფლანგზე) შესრულების შეფასებას და შეიმუშავებს შესაბამისი დასკვნის პროექტს. მონიტორინგის გზით გამოვლენილი არასასურველი ტენდენციებისა და პრობლემების არსებობის შემთხვევაში, სტრატეგიული განვითარების საბჭოს დასკვნის პროექტში ასახული უნდა იყოს მათი გამომწვევი მიზეზების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები სამოქმედო გეგმებში შესატანი მაკორექტირებელი ცვლილებების ან/და გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე. დასკვნის პროექტი, უკუკავშირის მიღების მიზნით, განსახილველად ეგზავნება უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული წინადადებებისა და მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე სტრატეგიული განვითარების საბჭო შეიმუშავებს დასკვნის საბოლოო ვერსიას.

სტრატეგიული განვითარების საბჭოს დასკვნა რეაგირების მიზნით წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. აღნიშნული დასკვნის განხილვის შედეგად, აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს შესაბამისი პროცესების ინიცირებას.



# სტრატეგიული განვითარების 2020-2027 წლების (7 წლიანი)

## გეგმა

### SWOT ანალიზი

Strengths - ძლიერი მხარეები	Weakneses - სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ საგანმანათლებლო სივრცეში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება და დადებითი რეპუტაცია;</li> <li>▪ განახლებული საორგანიზაციო სტრუქტურა და მართვის სისტემა;</li> <li>▪ განვითარებული ინფრასტრუქტურა, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორები, უნიკალური წიგნადი ფონდი და უსაფრთხო გარემო;</li> <li>▪ უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობისა და გაცვლით პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობის გამოცდილება.</li> <li>▪ პარტნიორი დაწესებულებების/პოტენციური დამსაქმებლების მხარდაჭერა;</li> <li>▪ სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საერთო საცხოვრებლის;</li> <li>▪ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურა;</li> <li>▪ რმის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმო;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ფინანსური რესურსების სიმცირე;</li> <li>▪ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა-შედგენასა და განვითარებაში დამსაქმებლების სუსტი ჩართულობა;</li> <li>▪ უცხოენოვანი პროგრამების სიმცირე;</li> <li>▪ ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის სიმცირე;</li> <li>▪ საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების სიმცირე</li> <li>▪ მომზადება/გადამზადების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების არარსებობა;</li> </ul>
Opportunities - შესაძლებლობები	Threats - საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ მარკეტინგული და პიარ-ქტივობების მეშვეობით ცნობადობის გაზრდა;</li> <li>▪ საერთაშორისო კავშირების გამყარება და უცხოელი სტუდენტების მოზიდვა; უცხოელი სპეციალისტების მოწვევა სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიზნით;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ განათლების ბაზარზე მუდმივად მზარდი კონკურენცია;</li> <li>▪ დაფინანსების არსებული მოდელი;</li> <li>▪ პანდემია;</li> <li>▪ სწრაფად ცვალებადი სამართლებრივი გარემო;</li> <li>▪ საოკუპაციო ხაზთან სიახლოვე;</li> <li>▪ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ფონი.</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>▪ საერთაშორისო კვლევით პროექტებში მონაწილეობა;</li> <li>▪ სტუდენტური თვითმმართველობის პროექტების რეალიზება;</li> <li>▪ პოტენციური დამსაქმებლების მოძიება დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/დანერგვის მიზნით.</li> </ul>	
--	--

2018 და 2019 წლების სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასების შედეგების, არსებული გამოწვევების, კონკურენტული გარემოს ანალიზის, SWOT ანალიზის, და აგრეთვე, უნივერსიტეტის მისიის, ხედვის, ღირებულებების გათვალისწინებით, სტრატეგიული გეგმის სტრუქტურა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. საუნივერსიტეტო საზოგადოების ფართო ჩართულობით დასახულია 2020-2027 წლების სტრატეგიული პრიორიტეტები.

**უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტები/მიზნებია:**

- სტრატეგიული მიზანი 1. ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარება
- სტრატეგიული მიზანი 2. საგანმანათლებლო და სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის განვითარება
- სტრატეგიული მიზანი 3. სტუდენტური სერვისების განვითარება
- სტრატეგიული მიზანი 4. პერსონალის განვითარების მხარდაჭერა
- სტრატეგიული მიზანი 5. მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური რესურსების განვითარება

<p>ამოცანა</p> <p>სტრატეგიული მიზანი</p>	<p><b>მიზანი/ამოცანა</b></p>
<p>მიზანი 1.</p>	<p>ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარება</p>
<p>ამოცანა 1.1</p>	<p>სოციალური, კულტურული, ეკონომიკური გარემოსდაცვითი პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელება როგორც საუნივერსიტეტო, ასევე, რეგიონის საზოგადოებისათვის</p>
<p>ამოცანა 1.2</p>	<p>უნივერსიტეტის როლის ამაღლება საზოგადოებაში მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის მხარდაჭერით (კარიერის განვითარების ცენტრი, უცხო ენათა შემსწავლელი კურსების, სასერტიფიკატო პროგრამების/ კურსების, მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების კურსების შემუშავება და დანერგვა შრომის ბაზრის კვლევისა და დამსაქმებლის მოთხოვნის ანალიზის საფუძველზე და სხვ.)</p>
<p>ამოცანა 1.3</p>	<p>საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება</p>
<p>ამოცანა 1.4</p>	<p>უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობაზე მუდმივი ზრუნვა</p>
<p>ამოცანა 1.5</p>	<p>შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და რგოლების ჩართულობის ამაღლება, ხარისხის კულტურის განვითარება</p>
<p>ამოცანა 1.6</p>	<p>უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების გამჭირვალობის და ხელმისაწვდომობის ამაღლება დაინტერესებული მხარეებისათვის</p>
<p>ამოცანა 1.7</p>	<p>რეგიონის ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის, პოტენციური აბიტურიენტების უმაღლესი/პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებით დაინტერესებაზე მიმართული ღონისძიებების (გამოფენების/სამეცნიერო ფესტივალის მოწყობა, საორიენტაციო კვირები, პირველკურსელთა მიღება, კამპუს ტურები და ღია კარის დღეები, კონფერენციები, საინფორმაციო ბუკლეტები) დაგეგმვა/ჩატარება მუნიციპალიტეტების რესურსცენტრებთან, საჯარო სკოლებთან თანამშრომლობით და შედეგების ანალიზის საფუძველზე შემდეგი ღონისძიებების დაგეგმვა</p>
<p>ამოცანა 1.8</p>	<p>ზრუნვა უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებაზე</p>
<p>მიზანი 2.</p>	<p>საგანმანათლებლო და სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის განვითარება</p>
<p>ამოცანა 2.1</p>	<p>რეგიონის საჭიროებების გათვალისწინებით პრიორიტეტული დარგების/ მიმართულებების იდენტიფიცირება (რეგიონზე ორიენტირებული პროგრამების დანერგვა, ადგილობრივი სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების რეკრუტირება, კურსდამთავრებულთა შენარჩუნება და სხვ.). შრომის ბაზარზე ორიენტირებული თანამედროვე ხარისხიანი ახალი</p>

	საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/გადამზადების კურსების შემუშავება და განხორციელება
ამოცანა 2.2	უნივერსიტეტში აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან შესაბამისობის მუდმივი უზრუნველყოფა
ამოცანა 2.3	პროგრამების განვითარების მიზნით ურთიერთთანამშრომლობითი პროცესის დანერგვა, მონაწილეობითი სისტემის შექმნა უკუკავშირის გზით (პერსონალი, სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი)
ამოცანა 2.4	სწავლისა და კვლევის კომპონენტების ინტეგრირება
ამოცანა 2.5	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება
<b>მიზანი 3.</b>	<b>სტუდენტური სერვისების განვითარება</b>
ამოცანა 3.1	სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერის განვითარება
ამოცანა 3.2	სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებასა და კარიერულ განვითარებაზე ზრუნვა
ამოცანა 3.3	სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა
ამოცანა 3.4	სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა უფლებების დაცვის მექანიზმების განვითარება/სრულყოფა
ამოცანა 3.5	ზრუნვა მაღალი აკადემიური პოტენციალის და მოტივაციის მქონე სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების მოზიდვაზე
ამოცანა 3.6	სასწავლო პროცესში სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება
ამოცანა 3.7	სტუდენტების/პროფესიულ სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში/გაცვლით პროგრამებში ჩართულობის ამაღლება
<b>მიზანი 4.</b>	<b>პერსონალის განვითარების მხარდაჭერა</b>
<u>ამოცანა 4.1</u>	ზრუნვა აკადემიური, მოწვეული პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე
ამოცანა 4.2	ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება
ამოცანა 4.3	მაღალკვალიფიციური და წარმატებული აკადემიური პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების მოზიდვაზე და შენარჩუნებაზე ზრუნვა

ამოცანა 4.4	ზრუნვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე
ამოცანა 4.5	ზრუნვა აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლების სამუშაო გარემოს გაუმჯობესებასა და საქმიანობის მოტივაციის ამაღლებაზე
მიზანი 5.	მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური რესურსების განვითარება
ამოცანა 5.1	საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო მატერიალური რესურსების განვითარება
ამოცანა 5.2	უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის (მათ შორის, რეკრეაციული სივრცეების) მუდმივი გაუმჯობესება
ამოცანა 5.3	საბიბლიოთეკო გარემოს, რესურსებისა და მომსახურების განვითარება სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურად განხორციელების მიზნით
ამოცანა 5.4	სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესება
ამოცანა 5.5	პერსონალისა და სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა
ამოცანა 5.6	მენეჯერული ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ეფექტურობის უზრუნველყოფა
ამოცანა 5.7	საინფორმაციო რესურსების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მისი ადმინისტრირების გაუმჯობესება



სტრატეგიული მიზანი 1. ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარება									
ამოცანა 1.1	სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელება როგორც საუნივერსიტეტო, ასევე, რეგიონის საზოგადოებისათვის.	აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში, საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.	X	X	X	შესაბამისი ღონისძიებები	საზოგადოებრივი ურთიერთობის სამსახური, კათედრები	15 000	
		კულტურული ღონისძიებების განხორციელება საუნივერსიტეტო და რეგიონის საზოგადოებისათვის	X	X	X	შესაბამისი ღონისძიებები	სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახური	12 000	
		გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელება	X	X	X	შესაბამისი ღონისძიებები	საზოგადოებრივი ურთიერთობის სამსახური, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა	3000	
		პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის გაფართოება, ხელშეკრულებების, მემორანდუმების გაფორმება	X	X	X	ხელშეკრულებები, მემორანდუმები	საზოგადოებრივი ურთიერთობის სამსახური, რექტორი, კანცლერი	20 000	

		საზოგადოებისათვის აქტუალურ თემებზე საჯარო ლექციების ჩატარება უნივერსიტეტის პერსონალის მიერ	X	X	X	ჩატარებული საჯარო ლექციები	საზოგადოებრივ ურთიერთობის სამსახური, კათედრები	სამტატო ანაზღაურების ფარგლებში	
ამოცანა 1.2	უნივერსიტეტის როლის ამაღლება საზოგადოებაში მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის მხარდაჭერით (კარიერის განვითარების ცენტრი, უცხო ენათა შემსწავლელი კურსების, სასერტიფიკატო პროგრამების/კურსების შემუშავება და დანერგვა	უცხო ენათა შემსწავლელი კურსების განხორციელება	X	X	X	განხორციელებული კურსები	უცხო ენების კათედრა	10 000	
		სასერტიფიკატო პროგრამების/კურსების განხორციელება	X	X	X	განხორციელებული სასერტიფიკატო კურსები	საზოგადოებრივ ურთიერთობის სამსახური, ფაკულტეტები	9 000	
ამოცანა 1.3	საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება	სტუდენტების საერთაშორისო მობილობის გაძლიერება	X	X	X	მობილურ სტუდენტთა რაოდენობა	საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური	20 000	
		საერთაშორისო პროექტების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ამაღლება	X	X	X	შესაბამისი ანგარიშები	საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური	5 000	
		სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა საერთაშორისო პროექტებში	X	X	X	საერთაშორისო პროექტებში ჩართული სტუდენტები	საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური	15 000	



					ბის რაოდენობა			
	საერთაშორისო პერსონალის მოზიდვა, საერთაშორისო მობილობის გაძლიერება	X	X	X	საერთაშორ ისო სტუდენტე ბისა და პერსონალი ს რაოდენობა	საერთაშორ ისო ურთიერთ ობების სამსახური, ფაკულტეტ ები	4 000	
	საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება	X	X	X	ჩატარებუ ლი საერთაშორ ისო კონფერენც იები	საერთაშორ ისო ურთიერთ ობების სამსახური, რექტორის მოადგილე, კათედრები	14500	
	უცხოელი მკვლევარებისა და მეცნიერების ჩართვა სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებში, რეცენზენტების ბაზაში	X	X	X	სამეცნიერ ო ჟურნალებ ის სარედაქცი ო კოლეგიებშ ი და რეცენზენტ თა ბაზებში ჩართული უცხოელი მკვლევარე ბის რაოდენობა	საერთაშორ ისო ურთიერთ ობის სამსახური, რექტორის მოადგილე, სამეცნიერ ო ჟურნალები ს რედაქტორ ები	5 000	

		ზაფხულისა და ზამთრის სკოლების მოწყობა უცხოელი პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობით.	X	X	X	ზაფხულისა და ზამთრის სკოლების რაოდენობა უცხოელი პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობით.	საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური, რექტორის მოადგილე, კათედრები	23 000	
		საჯარო ლექციების ჩატარება უცხოელი პროფესორების/მკვლევარების მიერ	X	X	X	საჯარო ლექციების რაოდენობა უცხოელი პროფესორების/მკვლევარების მიერ	საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური, რექტორის მოადგილე	15 000	
<b>ამოცანა 1.4</b>	<b>უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობაზე მუდმივი ზრუნვა</b>	თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გაძლიერება მართვის პროცესებში	X	X	X	შესაბამისი ანგარიშები	მართვის ორგანოების და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები	50 000	
		სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასება	X	X	X	შესაბამისი ანგარიში	სტრატეგიული განვითარების საბჭო	სამტატო ანაზღაურების ფარგლებში	

		სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასების შედეგებზე რეაგირება	X	X	X	შესაბამისი დადგენილება	აკადემიური საბჭო	საშტატო ანაზღაურების ფარგლებში	
		უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის შეფასება	X		X	შესაბამისი ანგარიში	სტრატეგიული განვითარების საბჭო	საშტატო ანაზღაურების ფარგლებში	
ამოცანა 1.5	შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და რგოლების ჩართულობის ამაღლება, ხარისხის კულტურის განვითარება	უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობის გაძლიერება შიდა ხარისხის უზრუნველყოფაზე ორიენტირებულ ღონისძიებებში	X	X	X	შესაბამისი ანგარიშები	სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები/უფროსები	საშტატო ანაზღაურების ფარგლებში	
		ხარისხის შეფასების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების შესრულება სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში	X	X	X	შესაბამისი ანგარიშები	სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები/უფროსები	საშტატო ანაზღაურების ფარგლებში	
		სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვა	X	X	X	სათანადო მიმართვა აკადემიური საბჭოსადმი	ფაკულტეტების დეკანები	საშტატო ანაზღაურების ფარგლებში	

<b>ამოცანა 1.6</b>	უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების გამჭირვალობის და ხელმისაწვდომობის ამაღლება და ინტერესებული მხარეებისათვის	აკადემიური თავისუფლების პრინციპების გაცნობასა და დაცვაზე ორიენტირებული ღონისძიებების ორგანიზება/გამართვა	X	X	X	ჩატარებული ღონისძიებების მასალები	ფაკულტეტების დეკანები, იურიდიული სამსახური	1 000	
		პლაგიატის პრევენციის მიზნით საინფორმაციო ხასიათის და სხვა ღონისძიებების განხორციელება	X	X	X	ჩატარებული ღონისძიებების მასალები	ფაკულტეტების დეკანები, იურიდიული სამსახური, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი	1 000	
		ეთიკისა და ქცევის წესების/ნორმების დაცვაზე ორიენტირებული ღონისძიებების ორგანიზება/გამართვა	X	X	X	ჩატარებული ღონისძიებების მასალები	იურიდიული სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება	1 000	
<b>ამოცანა 1.7</b>	რეგიონის ახალგაზრდების, პოტენციური აბიტურიენტების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით დაინტერესებაზე მიმართული ღონისძიებების (გამოფენების/სამეცნიერო ფესტივალის მოწყობა, პირველკურსელთა მიღება, კამპუს ტურები და ღია კარის	უნივერსიტეტის პოპულარიზაციაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელება აბიტურიენტებისათვის (გამოფენები, კამპუს ტურები, ღია კარის დღეები და სხვ.)	X	X	X	ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	საზოგადოებრივი ურთიერთობების სამსახური, ფაკულტეტები	30 000	
		ერთობლივი კონფერენციების ჩატარება უნივერსიტეტის	X	X	X	საკონფერენციო მოხსენებები	რექტორის მოადგილე, კათედრები	5 000	

	საინფორმაციო ბუკლეტები) დაგეგმვა/ჩატარება მუნიციპალიტეტების რესურსცენტრებთან, საჯარო სკოლებთან თანამშრომლობით	სტუდენტებისა და რეგიონის სკოლების მოსწავლეებისათვის				ის რაოდენობა	/სამეცნიერო ცენტრები		
		ერთობლივი კონფერენციების ჩატარება უნივერსიტეტის პერსონალისა და რეგიონის სკოლების მასწავლებლებისათვის	X	X	X	საკონფერენციო მოხსენებების რაოდენობა	რექტორის მოადგილე, კათედრები /სამეცნიერო ცენტრები	5 000	
		აბიტურიენტებისათვის მოკლევადიანი ტრენინგ - კურსების, სემინარების და სხვა ღონისძიებების ჩატარება	X	X	X	ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობა	კათედრები /სამეცნიერო ცენტრები	17 000	
		უნივერსიტეტში სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების, შეხვედრების და სხვადასხვა კულტურულ- საგანმანათლებლო, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება	X	X	X	ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობა	საზოგადოებრივი ურთიერთობის სამსახური, სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახური	20 000	
ამოცანა 1.8	ზრუნვა უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებაზე	უნივერსიტეტის პოპულარიზაციაზე მიმართული PR- კამპანიებისა და სარეკლამო აქციების ჩატარება	X	X	X	ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობა	საზოგადოებრივი ურთიერთობის სამსახური	12 000	
		უნივერსიტეტის სიმბოლიკით სარეკლამო მასალების გავრცელება	X	X	X	გავრცელებული მასალების რაოდენობა	საზოგადოებრივი ურთიერთობის სამსახური	19 000	

სტრატეგიული მიზანი 2. საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განვითარება									
ამოცანა 2.1	რეგიონის საჭიროებების გათვალისწინებით ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება	ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო (300 კრედიტიანი) პროგრამების შემუშავება		X		აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე	განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	-	შესრულება გადაიდოსამომავლოდ
		საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება		X		აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	14 000	
ამოცანა 2.2	აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განვითარება	აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება	X			აკრედიტაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილება	ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, პროგრამის ხელმძღვანელები	სამტატო ანაზღაურების ფარგლებში	

		სასწავლო კურსების განხორციელების შეფასება და შეფასების შედეგებზე რეაგირება	X	X	X	შესაბამისი ანგარიშები	ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, პროგრამის ხელმძღვა	სამშტატო ანაზღაურების ფარგლებში	
		საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შეფასების შედეგებზე რეაგირება			X	შესაბამისი ანგარიშები	რექტორის ბრძანებით შექმნილი სპეციალური კომისია, პროგრამი	სამშტატო ანაზღაურების ფარგლებში	
		საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა/განვითარება საკანონდებლო (მათ შორის კვალიფიკაციების ჩარჩოს) მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფით	X	X	X	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარსადგენი სათანადო ანგარიში	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვა	სამშტატო ანაზღაურების ფარგლებში	შესრულებების განსაღვრულია დანართი 1-ის შესაბამისად
		პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება	X	X	X	სათანადო ანგარიშები	პროგრამის ხელმძღვანელები	სამშტატო ანაზღაურების ფარგლებში	
		სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების რეაკრედიტაცია			X	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებები	პროგრამების ხელმძღვანელები, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის	15 000	

<b>ამოცანა 2.3</b>	საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის უზრუნველყოფა/გამძლიერება	საგანმანათლებლო პროგრამის დამსაქმებელთა კვლევა		X		შესაბამისი ანგარიშები	პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	1 000	
		პროგრამის კურსდამთავრებულთა კვლევა		X		შესაბამისი ანგარიშები	პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის	1 000	
		საგანმანათლებლო პროგრამით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა		X		შესაბამისი ანგარიშები	პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის	1 000	
		საგანმანათლებლო პროგრამით აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა		X		შესაბამისი ანგარიშები	პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის	1 000	
<b>ამოცანა 2.4</b>	სწავლისა და კვლევის კომპონენტების ინტეგრირება	საგანმანათლებლო პროგრამებში/სასწავლო კურსებში კვლევითი კომპონენტის/პროექტის გათვალისწინება	X			შესაბამისი ანგარიშები	პროგრამის ხელმძღვანელები	სამტატო ანაზღაურების ფარგლებში	



		საკურსო/საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დანერგვა/ ინსტრუქციების დახვეწა	X			შესაბამისი ანგარიშები	პროგრამის ხელმძღვან ელები	საშტატო ანაზღაურებ ის ფარგლებში	
ამოცანა 2.5	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამძლიერება	შიდა საუნივერსიტეტო/ დარგობრივი სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება/ჩატარება	X	X	X	ჩატარებუ ლი კონფერენც იების რაოდენობა	რექტორის მოადგილე, კათედრები , სამეცნიე რო ცენტრები	5 000	
		შიდა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოპოვებასა და განხორციელებაში უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობის გაძლიერება	X	X	X	მოპოვებუ ლი/განხორ ციელებულ ი პროექტები ს რაოდენობა	რექტორის მოადგილე	50 000	
		საერთაშორისო -სამეცნიერო ჟურნალების დაარსების/ფუნქციონირების მხარდაჭერის გაძლიერება	X	X	X	გამოცემუ ლი ჟურნალებ ის რაოდენობა და რეიტინგი	რექტორის მოადგილე	5 000	
		უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება	X			შესაბამისი ანგარიში	რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნვე ლ ყოფისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებ ი	საშტატო ანაზღაურებ ის ფარგლებში	

სტრატეგიული მიზანი 3. სტუდენტური სერვისების განვითარება									
ამოცანა 3.1	სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერის განვითარება	ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე სტუდენტთა ინფორმირების დონის ამაღლება	X	X	X	ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	ფაკულტეტების ადმინისტრაციები	საშტატო ანაზღაურების ფარგლებში	
		სასწავლო და საგამოცდო ცხრილების შემუშავების პროცესში ფაკულტეტებისა და საგამოცდო ცენტრის კოორდინაციის ამაღლება	X	X	X	შესაბამისი ანგარიშები	ფაკულტეტების დეკანები, საგამოცდო ცენტრი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური (მონიტორინგის ჯგუფი)	საშტატო ანაზღაურების ფარგლებში	
		სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში სასწავლო ცხრილებისა და შეფასების შედეგების ასახვაზე მუდმივი კონტროლი	X	X	X	შესაბამისი ანგარიშები	სასწავლო პროცესის მართვის სამსახური (მონიტორინგის ჯგუფი)	საშტატო ანაზღაურების ფარგლებში	
		სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის პროცედურების განვითარება (მათ შორის დისტანციური სწავლების კონტექსტში)	X	X	X	ანგარიშები	ფაკულტეტების დეკანები	საშტატო ანაზღაურების ფარგლებში	
ამოცანა 3.2	სტუდენტთა დასაქმებასა და კარიერულ განვითარებაზე ზრუნვა	კურსდამთავრებულთა ქსელის შექმნა/განვითარება	X	X	X	ანგარიშები	სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერ	საშტატო ანაზღაურების ფარგლებში	

						ის სამსახური		
	სტუდენტთა მიერ სტაჟირების გავლის შესაძლებლობების ამაღლება	X	X	X	ანგარიშები	სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახური	სამტატო ანაზღაურების ფარგლებში	
	სხვადასხვა კომპანიებსა და ორგანიზაციებში არსებული ვაკანსიების თაობაზე, ასევე სტაჟირების/პრაქტიკის გავლის შესაძლებლობის შესახებ სტუდენტთა ინფორმირების დონის ამაღლება.	X	X	X	ანგარიშები	სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახური	სამტატო ანაზღაურების ფარგლებში	
	დამსაქმებელთა დამოკიდებულებების კვლევა	X			შესაბამისი ანგარიშები	სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	3 000	
	კურსდამთავრებულთა კარიერული და აკადემიური განვითარების კვლევა	X			შესაბამისი ანგარიში	სტუდენტთა კარიერული განვითარე	3 000	

							ბისა და მხარდაჭერის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური		
<i>ამოცანა 3.3</i>	<b>სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა</b>	სპორტული ღონისძიებების ჩატარება	<b>X</b>	<b>X</b>	<b>X</b>	ღონისძიებათა რაოდენობა	სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახური	13 000	
		კულტურული ღონისძიებების ჩატარება	<b>X</b>	<b>X</b>	<b>X</b>	ღონისძიებათა რაოდენობა	სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახური	13 000	
		შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარება	<b>X</b>	<b>X</b>	<b>X</b>	ღონისძიებათა რაოდენობა	სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახური, კათედრები, სამეცნიერ	13 000	

							ო ცენტრები		
<b>ამოცანა 3.4</b>	<b>სტუდენტთა მოტივაციის ამაღლება</b>	მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების წახალისება	X	X	X	ანგარიშები წახალისების	ფაკულტეტის დეკანები	10 000	
		სახელობითი სტიპენდიების გაცემა	X	X	X	შესაბამისი ანგარიშები	კათედრები	10 000	
		სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში განსაკუთრებულად აქტიური და წარმატებული სტუდენტების წახალისება	X	X	X	შესაბამისი ანგარიშები	დეკანები, კათედრები	3 000	
<b>ამოცანა 3.5</b>	<b>სასწავლო პროცესში სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება</b>	დისტანციური სწავლებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარება (ტრენინგები)	X			ტრენინგების რაოდენობა	საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილება	სამტატო ანაზღაურების ფარგლებში	
		სტუდენტთა სამუშაო სივრცეების შექმნა/განვითარება	X	X	X	შექმნილი/განვითარებული სამუშაო სივრცეების რაოდენობა	მატერიალური რესურსების მართვის სამსახური	50 000	
		ტუტორთა ინსტიტუტის დანერგვა			X	ტუტორთა ინსტიტუტის დანერგვის აქტი	აკადემიური საბჭო, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	6 000	
<b>ამოცანა 3.6</b>	<b>სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში/გაცვლით პროგრამებში ჩართულობის ამაღლება</b>	სტუდენტთა ინფორმირების გაუმჯობესება საერთაშორისო პროექტების/გაცვლითი პროგრამების შესახებ	X	X	X	განხორციელებული ღონისძიებები	საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური	სამტატო ანაზღაურების ფარგლებში	

		საერთაშორისო პროექტებში/გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების მხარდაჭერა	X	X	X	შესაბამისი ანგარიშები	საერთაშორისო ურთიერთობის სამსახური	3 000	
<b>სტრატეგიული მიზანი 4. პერსონალის განვითარების მხარდაჭერა</b>									
<b>ამოცანა 4.1</b>	<b>ზრუნვა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე</b>	აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის ყოველწლიური შეფასება	X	X	X	შესაბამისი ანგარიშები	ფაკულტეტების ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურები	საშტატო ანაზღაურების ფარგლებში	
		უნივერსიტეტის სერვისებითა და რესურსებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა	X		X	შესაბამისი ანგარიშები	ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური	საშტატო ანაზღაურების ფარგლებში	

		აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელება	X	X	X	შესაბამისი ანგარიში	ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება	5000	ყოველწლიურად შემუშავებული გეგმის შესაბამისად
ამოცანა 4.2	ადამიანური რესურსების საინფორმაციო და სოციალური მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება	უნივერსიტეტში და მის გარეთ განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე პერსონალის ინფორმირების ღონისძიებები	X	X	X	შესაბამისი ანგარიში	საზოგადოებრივი ურთიერთობის სამსახური	1000	
		პერსონალის კორპორაციული სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა	X	X	X	დაზღვეული პერსონალის რაოდენობა	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	15 000	
ამოცანა 4.3	მაღალკვალიფიციური და წარმატებული აკადემიური პერსონალის მოზიდვაზე დაშენარჩუნებაზე ზრუნვა	აკადემიური პერსონალის წახალისების მექანიზმის განვითარება (წახალისების სქემა)	X			წახალისების მექანიზმის დანერგვის	აკადემიური საბჭო	საშტატო ანაზღაურების ფარგლებში	
		აკადემიური პერსონალისათვის დამატებითი სამუშაო სივრცეების შექმნა	X	X	X	ანგარიში	მატერიალური რესურსების მართვის	15 000	

		საჭიროების შემთხვევაში, პერსონალის უზრუნველყოფა საერთო საცხოვრებლით	X	X	X	ანგარიში	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი	
ამოცანა 4.4	ზრუნვა ადმინისტრაციული დადამხმარე პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე	ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის ყოველწლიური შეფასება	X	X	X	შესაბამისი ანგარიშები	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	საშტატო ანაზღაურების ფარგლებში	
		უნივერსიტეტის სერვისებითა და რესურსებით ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევა	X		X	შესაბამისი ანგარიშები	ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	საშტატო ანაზღაურების ფარგლებში	



		ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელება	X	X	X	შესაბამისი ანგარიში	ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება	5 000	ყოველწლიურად შემუშავებული გეგმის შესაბამისად
ამოცანა 4.5	ზრუნვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის მოტივაციის ამაღლებაზე	ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო გარემოს გაუმჯობესება	X	X	X	შესაბამისი ანგარიშები	მატერიალური რესურსების მართვის	60 000	
		ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წახალისების მექანიზმის განვითარება		X		წახალისების მექანიზმის დანერგვის აქტი	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	საშტატო ანაზღაურების ფარგლებში	
<b>სტრატეგიული მიზანი 5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება</b>									
ამოცანა 5.1	საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო მატერიალური რესურსების განვითარება	სასწავლო აუდიტორიების, ლაბორატორიების, სამეცნიერო ცენტრების ინვენტარის შექმნა/ განახლება.	X	X	X	ინვენტარის შექმნის აქტები	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ბიუჯეტებისა და შესყიდვების სამსახური	150 000	



<p><b>ამოცანა 5.3</b></p> <p><b>საბიბლიოთეკო გარემოს, სერვისებისა და რესურსების განვითარება</b></p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო ლიტერატურის ელექტრონული/ციფრული ვერსიების ხელმისაწვდომობის ამაღლება</p>	X	X	X	შესაბამისი ანგარიშები	უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, პროგრამის ხელმძღვანელები	15 000	
	<p>განსაკუთრებულად მაღალმოთხოვნადი წიგნების/სახელმძღვანელოების ეგზემპლართა რაოდენობის გაზრდა</p>	X	X	X	შესაბამისი ანგარიშები	უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ბიუჯეტებისა და შესყიდვების სამსახური	30 000	
	<p>ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობის გაზრდა</p>	X			ბიბლიოთეკაში კომპიუტერული ტექნიკის გაზრდილი რაოდენობა	საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილება	5 000	
	<p>სტუდენტების/პერსონალის ელექტრონულ ბაზებთან მუშაობის უნარების გაუმჯობესებისათვის ტრენინგების ჩატარება</p>	X	X	X	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი	სამტატო ანაზღაურების ფარგლებში	
	<p>საბიბლიოთეკო სერვისებითა და რესურსებით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა</p>	X		X	შესაბამისი ანგარიშები	უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	სამტატო ანაზღაურების ფარგლებში	

		საბიბლიოთეკო სერვისებითა და რესურსებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა	X		X	შესაბამისი ანგარიშები	უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	საშტატო ანაზღაურების ფარგლებში	
ამოცანა 5.4	პერსონალისა და სტუდენტებისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა	სანიტარული კვანძების მდგომარეობის გაუმჯობესება	X			შესაბამისი ანგარიში	მატერიალური რესურსების მართვის	60 000	
		უნივერსიტეტის შენობების კონდიციონების სისტემის გაუმჯობესება	X	X		შესაბამისი ანგარიშები	მატერიალური რესურსების მართვის	30 000	
		სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესება	X	X	X	შესაბამისი ანგარიშები	მატერიალური რესურსების მართვის სამსახური	70000	
		საუნივერსიტეტო სივრცეში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე/გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ღონისძიებები	X	X	X	შესაბამისი ანგარიშები	დაცვის სამსახური	60000	
ამოცანა 5.5	მენეჯერული ანგარიშვალდებულებების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ეფექტურობის უზრუნველყოფა	ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება	X	X	X	აუდიტის დასკვნა ან სათანადო კომისიის ანგარიში	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფინანსების სამსახური	30 000	
		აუდიტის პროცესის ხელშეწყობა	X	X	X	სატენდერო დოკუმენტები, შესაბამისი ხელშეკრულება	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, შესყიდვების სამსახური	საშტატო ანაზღაურების ფარგლებში	

		დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება	X	X	X	ანგარიში	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	საშტატო ანაზღაურების ფარგლებში	
ამოცანა 5.6	საინფორმაციო რესურსების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მისი ადმინისტრირების გაუმჯობესება	Wi-Fi ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ამაღლება	X	X	X	სათანად ო ანგარიშე ბი	საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილება	6 000	
		საუნივერსიტეტო კომპიუტერული ლაბორატორიული ბაზის გაძლიერება	X	X	X	შესაბამისი ანგარიში	საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილება, ბიუჯეტი რებისა და შესყიდვების სამსახური	30000	

		სასწავლო პროცესის მართვის კომპიუტერული სისტემის განვითარება	X		X	შესაბამისი ანგარიში	საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილება,	სამშტატო ანაზღაურების ფარგლებში	
--	--	---	---	--	---	------------------------	--	---------------------------------------	--

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მოდიფიცირების ვადები  
კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით

პროგრამების მოდიფიცირების ვადები	საგანმანათლებლო პროგრამები
2020 წ. 30 სექტემბერი- 2021 წ. 31 მარტი	ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მათემატიკის საბაკალავრო პროგრამა
2021წ. 30 სექტემბერი- 31 დეკემბერი	ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა
2021წ. 30 სექტემბერი- 2022წ. 1 მაისი	სამართლის საბაკალავრო პროგრამა სამართლის სამაგისტრო პროგრამა
2022წ. 30 სექტემბერი- 30 ნოემბერი	ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა
2023 წ. 30 სექტემბერი - 2024წ. 30 სექტემბერი	ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო პროგრამა ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო პროგრამა საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა
2024წ. 30 სექტემბერი- 30 ნოემბერი	ისტორიის საბაკალავრო პროგრამა საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა სპორტის საბაკალავრო პროგრამა ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
2025 წ. 30 სექტემბერი-30 ნოემბერი	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამა ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამა ქართულ ენაში მომზადების პროგრამა მასწავლებლის მომზადების პროგრამა